

BAG

ინდუქსია



საქართველოს ბიზნეს ასოციაცია
BUSINESS ASSOCIATION OF GEORGIA

ifo INSTITUTE

Leibniz Institute for Economic Research
at the University of Munich



Research

IV კვარტალი 2025

BAG ინდუქსი



ბიზნეს
კლიმატი



დასაქმებულის
ბარომეტრი



შრომითი
რესურსების
საჭიროება

BAG ინდექსი	1
BAG ბიზნეს კლიმატი	1
BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით	3
დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით	6
ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორები	8
დაფინანსება	13
მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ	15
BAG დასაქმების ბარომეტრი	16
შრომითი რესურსების საჭიროება	20

საქართველოს ბიზნეს ასოციაციის (BAG) ინდექსი საქართველოს ბიზნეს ასოციაციის, პიემსი კვლევითი ცენტრისა და ifo ეკონომიკური კვლევების ინსტიტუტის ერთობლივი პროდუქტია. BAG ინდექსი მოიცავს BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების ¹ მმართველი მენეჯერების შეფასებას BAG ბიზნეს კლიმატის, BAG დასაქმების ბარომეტრის და BAG საინვესტიციო გარემოს შესახებ. პიემსი კვლევითი ცენტრი BAG ინდექსს აქვეყნებს ყოველკვარტალურად.

BAG ბიზნეს კლიმატი

BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გამოითვლება BAG-ის წევრებისა და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიების გამოკითხვის საფუძველზე. კითხვარის მეშვეობით კომპანიები აფასებენ თავიანთ მიმდინარე მდგომარეობას და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს². კომპანიები, ასევე, აფასებენ გაყიდვების, გაყიდვების ფასების, დასაქმებულთა რაოდენობის და დასაქმებულთა ანაზღაურების ცვლილებას გასულ და მიმდინარე კვარტალებში და აფიქსირებენ მოლოდინს მომდევნო კვარტალისთვის. დამატებით, კომპანიები ასახელებენ თავიანთი ბიზნესსაქმიანობისთვის ხელშემშლელ ფაქტორებს, აფიქსირებენ გაცვლითი კურსის შესახებ არსებულ მოლოდინს, აფასებენ ფინანსებზე ხელმისაწვდომობას და საინვესტიციო გარემოს. აღნიშნული ინდექსის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები გადანაწილდა ოთხ სექტორში: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა. 2025 წლის მეოთხე კვარტლის გამოკითხვა ჩატარდა 2025 წლის 17 ნოემბერი - 2 დეკემბრის პერიოდში.




2025 წლის IV კვარტალში, გამოკითხულმა კომპანიებმა თავიანთი მიმდინარე მდგომარეობა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინი დადებითად შეაფასეს. 2025 წლის IV კვარტალში, BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელმა 45.0 უულა შეადგინა, მათ შორის, ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის მაჩვენებელი 30.3, ხოლო ბიზნესის მოლოდინის მაჩვენებელი 60.6 უულაა.

2025 წლის IV კვარტალში, 2025 წლის III კვარტალთან შედარებით, BAG ბიზნეს კლიმატი 1.8 ქულით გაუმჯობესდა. აღნიშნულ პერიოდში, გამოკითხული კომპანიების მომდევნო 6 თვის მოლოდინის მაჩვენებელი 4.1 ქულით გაუმჯობესდა, ხოლო მათ მიერ მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 0.3 ქულით გაუარესდა.

2025 წლის IV კვარტალის BAG ბიზნეს კლიმატის შედეგები 9.8 ქულით გაუმჯობესდა 2024 წლის IV კვარტალთან შედარებით. კერძოდ, მიმდინარე მდგომარეობის შეფასება 1.7 ქულით გაიზარდა, ხოლო მომდევნო 6 თვის მოლოდინის შეფასება 18.7 ქულით გაუმჯობესდა (იხილეთ გრაფიკი 1).

¹ 2021 წლის I კვარტალში BAG ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, გაიზარდა გამოსაკითხი კომპანიების რაოდენობა: გამოსაკითხ კომპანიათა ბაზას დაემატა BAG-ის წევრების ჯგუფში შემავალი კომპანიები.


² საბალანსო მნიშვნელობა მიმდინარე მდგომარეობისთვის არის სხვაობა „კარგი“ და „ცუდი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის, ხოლო საბალანსო მნიშვნელობა მომდევნო ექვსი თვის მოლოდინისათვის არის სხვაობა „უფრო ხელსაყრელი“ და „ნაკლებად ხელსაყრელი“ შეფასებების პროცენტულ წილებს შორის. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი წარმოადგენს ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობისა და მომდევნო ექვსი თვის მოლოდინის საბალანსო მნიშვნელობების ტრანსფორმირებულ საშუალოს. BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი შესაძლოა იყოს -100-სა და +100-ს შორის. +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს დადებითად, ხოლო -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მიმდინარე მდგომარეობას და მოლოდინს აფასებს უარყოფითად.



გრაფიკი 1: BAG ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა³

2025 წლის IV კვარტალში, წინა კვარტალთან შედარებით გაუმჯობესდა BAG ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი და კვლავ **ბუმის** ფაზაში იმყოფება.

³ 2019* აღნიშნავს, რომ 2019 წლისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ IV კვარტალის მონაცემები, ხოლო 2020-2021 წლების შემთხვევაში წარმოდგენილია კვარტალური საშუალო მაჩვენებლები.




გრაფიკი 2: BAG ბიზნეს კლიმატი⁴

BAG ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით

2025 წლის IV კვარტალში **ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი** ყველა სექტორში დადებითია. 2025 წლის III კვარტალთან შედარებით, აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა ყველა სექტორში გარდა მომსახურების სექტორისა (იხილეთ გრაფიკი 3).

³ გრაფიკი 2 საკოორდინატო სისტემაზე ასახავს დამოკიდებულებას ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობასა და ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს შორის. თუკი ბიზნესები მიმდინარე მდგომარეობას აფასებენ უარყოფითად, ხოლო ექვსი თვის მოლოდინს დადებითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „აღმასვლის“ მეოთხედში. თუკი მიმდინარე მდგომარეობა და მოლოდინი დადებითად ფასდება, მაჩვენებელი „ბუმის“ მეოთხედში ხვდება. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე მდგომარეობა დადებითადაა შეფასებული, ხოლო მოლოდინი უარყოფითად, კლიმატის მაჩვენებელი ხვდება „დაღმასვლის“ მეოთხედში. ხოლო, თუ მიმდინარე მდგომარეობაც და მოლოდინიც უარყოფითადაა შეფასებული, მაჩვენებელი „რეცესიის“ მეოთხედში ხვდება. გრაფიკზე 2020-2024 წლებისთვის წარმოდგენილია საშუალო კვარტალური მაჩვენებლები.



გრაფიკი 3: ბიზნეს კლიმატი სექტორების მიხედვით 2025 წლის III და IV კვარტლებში


2025 წლის IV კვარტალში, 2025 წლის III კვარტალთან შედარებით, **ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის** შეფასება გაუმჯობესებულია მრეწველობის სექტორში 18.3 ქულით და ვაჭრობის სექტორში - 8.1 ქულით, ხოლო მაჩვენებელი გაუარესდა მშენებლობის სექტორში 18.6 ქულით და მომსახურების სექტორში - 8.5 ქულით. რაც შეეხება **ბიზნესის მომდევნო ექვსი თვის მოლოდინს**, მოლოდინების შეფასება გაუმჯობესდა მშენებლობის სექტორში 37.1 ქულით და მომსახურების სექტორში - 0.2 ქულით. მაჩვენებელი გაუარესდა მრეწველობის სექტორში 1.7 ქულით, ხოლო ვაჭრობის სექტორში ცვლილება არ ყოფილა.

2025 წლის IV კვარტალში ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის ყველაზე მაღალი შეფასება ვაჭრობის სექტორში დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე დაბალი - მრეწველობის სექტორში. ამას გარდა, ყველაზე პოზიტიური ბიზნესის მოლოდინი ასევე ვაჭრობის სექტორში დაფიქსირდა (იხილეთ ცხრილი 1).

ცხრილი 1: საბალანსო მნიშვნელობები სექტორების მიხედვით 2025 წლის IV კვარტალში

სექტორი	ბიზნეს კლიმატი	ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა	ბიზნესის მოლოდინი
ვაჭრობის სექტორი	51.1	40.5	62.2
მომსახურების სექტორი	46.9	33.3	61.3
მრეწველობის სექტორი	32.0	8.3	58.3
მშენებლობის სექტორი	38.6	21.4	57.1
ყველა სექტორი	45.0	30.3	60.6

2025 წლის IV კვარტალში, 2024 წლის IV კვარტალთან შედარებით, ბიზნეს კლიმატის მაჩვენებელი გაუმჯობესდა ვაჭრობის სექტორში 21.6 ქულით, მომსახურების სექტორში - 11.0 ქულით და მშენებლობის სექტორში - 7.8 ქულით, ხოლო მაჩვენებელი გაუარესდა მრეწველობის სექტორში 17.5 ქულით.




გრაფიკი 4: ბიზნეს კლიმატი, ბიზნესის მოლოდინი და ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში


დასაქმება, გაყიდვები და გაყიდვების ფასები სექტორების მიხედვით

დასაქმება

- 2025 წლის IV კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 34%-მა განაცხადა, რომ მათთან დასაქმებულთა რაოდენობა იზრდება. რაც შეეხება 2026 წლის I კვარტალის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 38% ელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, ხოლო 59% არ აპირებს დასაქმებულთა რაოდენობის შეცვლას (იხილეთ გრაფიკი 5).
- სექტორებს შორის, 2025 წლის IV კვარტალის მდგომარეობით, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა ყველაზე მეტად ვაჭრობის სექტორში ფიქსირდება. რაც შეეხება 2026 წლის I კვარტალის მოლოდინს, დასაქმებულთა რაოდენობის ზრდის შესახებ, ყველაზე პოზიტიური შეფასებით აქვს ვაჭრობის სექტორი გამოირჩევა (იხილეთ გრაფიკი 6).



გრაფიკი 5: დასაქმებულთა რაოდენობა BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში⁵



გრაფიკი 6: დასაქმებულთა რაოდენობა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

⁵ დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.

გაყიდვები/მოთხოვნა/ადგილობრივი წარმოება


- 2025 წლის IV კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა 51%-მა დააფიქსირა გაყიდვების ზრდა, ხოლო 10%-მა - შემცირება. რაც შეეხება 2026 წლის I კვარტალის მოლოდინს, გამოკითხული კომპანიების 46% ფიქრობს, რომ მოთხოვნა გაიზრდება, ხოლო 23% შემცირებას მოელოს.
- გაყიდვების მხრივ, სექტორებს შორის, 2025 წლის IV კვარტალის მდგომარეობას ყველაზე პოზიტიურად მრეწველობის (67%) და ვაჭრობის სექტორებში (65%) აფასებენ, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოზიტიურად - მშენებლობის სექტორში (14%). 2026 წლის I კვარტალისთვის ყველაზე პოზიტიური მოლოდინი მომსახურების სექტორში (55%) ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 7).




გრაფიკი 7: გაყიდვები, ადგილობრივი წარმოება და მოთხოვნა ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გაყიდვების ფასები

- 2025 წლის IV კვარტალში გამოკითხული კომპანიების 11%-მა გაზარდა გაყიდვების ფასები. რაც შეეხება 2026 წლის I კვარტალის მოლოდინს, გამოკითხულ კომპანიათა 27% ვარაუდობს გაყიდვების ფასების ზრდას (იხილეთ გრაფიკი 8).
- სექტორებს შორის, 2025 წლის IV კვარტალში ფასების ზრდას პროცენტულად ყველაზე მეტი კომპანია მომსახურების სექტორში (15%) აფიქსირებს. 2026 წლის I კვარტალში ფასების ზრდის მოლოდინი ყველაზე მეტად ვაჭრობის სექტორში (32%) ფიქსირდება (იხილეთ გრაფიკი 9).




გრაფიკი 8: გაყიდვების ფასები BAG-ის წევრ და მათ ჯგუფში შემავალ კომპანიებში



გრაფიკი 9: გაყიდვების ფასები ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში


ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შეშლელი ფაქტორები

2025 წლის IV კვარტალში, 2025 წლის III კვარტალთან შედარებით, შემცირდა იმ კომპანიების წილი (3 პროცენტული პუნქტით), რომლებიც თვლიან, რომ მათი ბიზნესსაქმიანობისთვის არსებობს ხელის შეშლელი ფაქტორები.



გრაფიკი 10: ბიზნესისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების არსებობა

2025 წლის IV კვარტალში, ბიზნესსაქმიანობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ხუთი ფაქტორია: სპეციალისტების ნაკლებობა, სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები, სამუშაო ძალის ნაკლებობა, შემლუდული ფინანსური რესურსები და ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა⁶ (იხილეთ გრაფიკი 11).




გრაფიკი 11: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის 2025 წლის IV კვარტალში

სექტორებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით, 2025 წლის IV კვარტალში:


- ✖ **სპეციალისტების ნაკლებობა** ყველაზე მწვავედ იგრძნობა მშენებლობის სექტორში (90%) და მცირე ზომის კომპანიებში (65%).
- ✖ **სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები** ყველაზე მეტად აწუხებს საშუალო ზომის კომპანიებს (48%), განსაკუთრებით კი მშენებლობის სექტორს (70%).
- ✖ **სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა** ყველაზე მწვავედ ვაჭრობის სექტორში (68%) დგას, რაც ყველა ზომის კომპანიაში თანაბრად პრობლემურია.
- ✖ **შემლუდული ფინანსური რესურსები** ხელის შემშლელი ფაქტორი ყველაზე მეტად მშენებლობის სექტორისთვის არის (70%), ხოლო ვაჭრობის სექტორში ეს პრობლემა საერთოდ არ აღინიშნება. საწარმოთა ზომის მიხედვით კი, შემლუდული ფინანსური რესურსების პრობლემა ყველაზე მეტად მცირე ზომის კომპანიებში (24%) ფიქსირდება.

⁶ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა, როგორც ერთერთი ხელის შემშლელი ფაქტორი ბიზნესისთვის, ბიზნესსაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ფაქტორების შესახებ არსებულ კითხვარს 2021 წლის IV კვარტალში დაემატა.

* ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობა განსაკუთრებით პრობლემურია ვაჭრობის სექტორში (23%) და თითქმის თანაბრად აწუხებს მცირე (18%) და საშუალო ზომის ბიზნესებს (15%).









გრაფიკი 12: ძირითადი ხელის შეშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის სექტორების მიხედვით 2025 წლის IV კვარტალში



გრაფიკი 13: ძირითადი ხელის შეშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის საწარმოთა ზომის მიხედვით 2025 წლის IV კვარტალში

ხელის შემშლელ ფაქტორებს შორის, წინა კვარტალთან შედარებით, ყველაზე მეტად სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა გამძაფრდა (9 პროცენტული პუნქტით), ხოლო ყველაზე მეტად ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის არასტაბილურობისა და მოთხოვნის სიმცირის პრობლემები შემსუბუქდა (5-5 პროცენტული პუნქტით) (იხილეთ გრაფიკი 14).

ბიზნესაქმიანობისთვის ხელის შემშლელი ძირითადი ფაქტორები IV კვ. 2019 – IV კვ. 2025




გრაფიკი 14: ძირითადი ხელის შემშლელი ფაქტორები გამოკითხული კომპანიებისთვის

ბიზნესისთვის სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები

2025 წლის IV კვარტალში სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის კომპანიათა უმეტესობამ ყველაზე ხელის შემშლელ ფაქტორად **მარეგულირებელი გარემო** მიიჩნია. სექტორებს შორის მარეგულირებელი გარემო ხელის შემშლელ ფაქტორად ყველაზე ხშირად ვაჭრობის სექტორში დასახელდა, ხოლო ყველაზე იშვიათად - მრეწველობის სექტორში.




სამართლებრივ და ადმინისტრაციულ ბარიერებს შორის მეორე ადგილს **ადმინისტრაციული საკითხები** იკავებს. აღნიშნული თანაბრად ხელის შემშლელია მშენებლობის და ვაჭრობის სექტორებში, ხოლო ყველაზე ნაკლებად ხელის შემშლელად დასახელდა მრეწველობის სექტორში.

რაც შეეხება **სასამართლო სისტემას**, აღნიშნული ფაქტორი ყველაზე მეტად ხელის შემშლელად დაფიქსირდა მომსახურების სექტორში, ხოლო ყველაზე ნაკლებად - მშენებლობის და მრეწველობის სექტორებში.



გრაფიკი 15: ძირითადი ხელის შემშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის


მთლიანობაში, წინა კვარტალთან შედარებით, გაზრდილია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც სასამართლო სისტემას ასახელებდნენ ხელის შემშლელად (5 პროცენტული პუნქტით), ხოლო შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომლებიც მარეგულირებელ გარემოს და ადმინისტრაციულ საკითხებს ასახელებდნენ ხელის შემშლელად (3-5 პროცენტული პუნქტით).



გრაფიკი 16: ძირითადი ხელის შეშლელი სამართლებრივი და ადმინისტრაციული ბარიერები გამოკითხული კომპანიებისთვის.


დაფინანსება

2025 წლის IV კვარტალში, დაფინანსების მოძიება სცადა გამოკითხულ კომპანიათა 54%-მა, რაც წინა კვარტალთან შედარებით 4 პროცენტული პუნქტით გაზრდილი მაჩვენებელია (იხილეთ გრაფიკი 17). საწარმოთა ზომის მიხედვით, ბიზნესისთვის დაფინანსების მოძიება უფრო მეტად მსხვილმა (57%) საწარმოებმა სცადეს, შედარებით ნაკლებად კი საშუალო (48%) და მცირე (47%) საწარმოებმა.



გრაფიკი 17: დაფინანსების მოძიება

2025 წლის IV კვარტალში მათგან, ვინც ბოლო პერიოდში დაფინანსების მოძიება სცადა, 30% აცხადებს, რომ ფინანსებზე წვდომა პრობლემას წარმოადგენს. ალნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (იხილეთ გრაფიკი 18). ფინანსებზე წვდომის პრობლემა უფრო ხშირად მცირე ზომის საწარმოებში დაფიქსირდა (56% იმ საწარმოთაგან, რომლებმაც სცადეს დაფინანსების მოძიება), ხოლო შედარებით ნაკლებად მსხვილი (25%) და საშუალო (23%) ზომის საწარმოებში.




გრაფიკი 18: ფინანსებზე წვდომა⁷

რაც შეეხება ბიზნესის დაფინანსების წყაროებს⁸, 2025 წლის IV კვარტალში კომპანიათა უმეტესობის (75%) განცხადებით, ისინი ფინანსდებიან ადგილობრივი წყაროებიდან. ამასთან, 2025 წლის IV კვარტალში იმ კომპანიათა პროცენტული წილი, რომლებიც როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური წყაროებიდან ფინანსდება, წინა კვარტალთან შედარებით 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 23% შეადგინა.

⁷ კითხვას პასუხი გასცა გამოკითხულთა მხოლოდ იმ ნაწილმა, რომელმაც უკანასკნელ პერიოდში სცადა ფინანსების მოძიება.


⁸ 2021 წლის I კვარტალში ინდექსის მეთოდოლოგიაში განხორციელებულმა ცვლილებამ (გამოსაკითხი კომპანიების ბაზის გაზრდა) გავლენა იქონია ბიზნესის დაფინანსების წყაროების სტრუქტურაზე. სხვა მაჩვენებლებზე მეთოდოლოგიურ ცვლილებას არსებითი გავლენა არ ჰქონია.



გრაფიკი 19: დაფინანსების წყაროები

მოლოდინი გაცვლითი კურსის შესახებ

2025 წლის IV კვარტალში, გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა (79%) არ ელის მომავალ 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილებას. იმ კომპანიების წილი, რომლებიც ლარის გაუფასურებას ელიან 11%-ია, ხოლო მათი, ვინც გამყარებას მოელოს - 10%. აღსანიშნავია, რომ წინა კვარტალთან შედარებით, 9 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ კომპანიების წილი, რომლებიც მომდევნო 6 თვეში ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებას არ ელიან, ხოლო 8 პროცენტული პუნქტით შემცირდა იმ კომპანიების წილი, რომლებსაც მომდევნო 6 თვეში ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის გაუფასურების მოლოდინი აქვთ.




გრაფიკი 20: ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის ცვლილების მოლოდინი

BAG დასაქმების ბარომეტრი

BAG დასაქმების ბარომეტრი ასახავს კომპანიების მოლოდინს მომავალ სამ თვეში დასაქმების სავარაუდო ცვლილების შესახებ.⁹

2025 წლის IV კვარტალში გამოკითხულ კომპანიებს მომავალ სამ თვეში დასაქმების მიმართულებით დადებითი მოლოდინი აქვთ. BAG-ის დასაქმების ბარომეტრმა 33.2 ქულა შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი წინა კვარტალთან შედარებით 0.8 ქულით, ხოლო 2024 წლის IV კვარტალთან შედარებით 6.2 ქულით გაუმჯობესდა.



გრაფიკი 21: BAG დასაქმების ბარომეტრი¹⁰





2025 წლის IV კვარტალში დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი ყველა სექტორში დადებითია. 2025 წლის IV კვარტალში წინა კვარტალთან შედარებით, დასაქმების ბარომეტრის მაჩვენებელი გაუმჯობესდა მშენებლობის (8.6 ქულით) და მომსახურების (0.6 ქულით) სექტორებში, გაუარესდა მრეწველობის (3.3 ქულით) სექტორში, ხოლო არ შეცვლილა ვაჭრობის სექტორში (იხილეთ გრაფიკი 22).

⁹ კომპანიებს შეუძლიათ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ არსებული მომდევნო სამი თვის გეგმები აღწერონ, როგორც „ზრდა“, „სტაბილური“ ან „კლებადი“. ამ გეგმების საბალანსო მნიშვნელობა გამოითვლება პასუხების - „ზრდა“-სა და „კლებადი“-ს პროცენტულ წილებს შორის სხვაობით. BAG დასაქმების ბარომეტრი არის სექტორების საბალანსო მნიშვნელობების შეწონილი საშუალო. BAG დასაქმების ბარომეტრის მნიშვნელობა შესაძლოა იყოს -100-დან +100-მდე. -100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის შემცირებას, ხოლო +100 ნიშნავს, რომ ყველა გამოკითხული ბიზნესი მომდევნო სამი თვის განმავლობაში მოელის დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას.

¹⁰ 2019* აღნიშნავს, რომ 2019 წლისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ IV კვარტალის მონაცემები, ხოლო 2020-2021 წლების შემთხვევაში წარმოდგენილია კვარტალური საშუალო მაჩვენებლები. 2019* აღნიშნავს, რომ 2019 წლისთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ IV კვარტალის მონაცემები, ხოლო 2020-2021 წლების შემთხვევაში წარმოდგენილია კვარტალური საშუალო მაჩვენებლები.


ცხრილი 2: დასაქმების ბარომეტრი. საბალანსო მნიშვნელობები სექტორის მიხედვით

სექტორი	2019*	2020	2021	2022				2023				2024				2025			
				I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.	I კვ.	II კვ.	III კვ.	IV კვ.
ვაჭრობა	33.3	-12.6	16.9	32.4	34.3	26.8	22.6	33.3	41.0	44.7	30.6	45.5	9.4	39.4	34.5	29.0	40.6	43.2	43.2
მომსახურება	14.6	-13.7	15.3	15.6	19.6	25.6	26.2	27.9	31.0	35.9	20.0	38.9	20.5	22.0	18.8	20.0	22.2	32.7	33.3
მრეწველობა	11.1	2.9	23.4	29.4	40.0	20	23.1	25.0	45.5	50.0	50.0	28.6	12.5	20.0	30.0	23.5	17.6	20.0	16.7
მშენებლობა	50	-31.9	30.1	37.5	27.3	50	63.6	68.8	81.8	63.6	40.0	70.0	47.1	35.7	30.8	16.7	54.5	20.0	28.6
BAG	26.1	-14.3	18.6	24.9	27.7	28.1	29.1	34.0	41.9	43.9	29.2	43.3	19.1	28.9	27.0	23.0	31.6	32.4	33.2







გრაფიკი 22: BAG დასაქმების ბარომეტრი სექტორების მიხედვით

დასაქმებულთა რაოდენობასთან ერთად, მნიშვნელოვანია, გავანალიზოთ კომპანიებში დასაქმებულთა ანაზღაურების დინამიკაც. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, 2025 წლის IV კვარტალში კომპანიათა 25%-მა გაზარდა დასაქმებულთა ხელფასები, რაც ჩამორჩება წინა კვარტალის მაჩვენებელს, თუმცა აღემატება წინა წლის შესაბამისი კვარტალის მაჩვენებელს. ხოლო 2026 წლის I კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას კომპანიათა 48% გეგმავს (იხილეთ გრაფიკი 23).



გრაფიკი 23: დასაქმებულთა ანაზღაურება


სექტორების მიხედვით, 2025 წლის IV კვარტალში, კომპანიათა ყველაზე დიდმა ნაწილმა მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორებში (30-30%) გაზარდა დასაქმებულთა ანაზღაურება. 2026 წლის I კვარტალში დასაქმებულთა ანაზღაურების ზრდას კომპანიათა ყველაზე დიდი წილი ვაჭრობის სექტორში (54%) გეგმავს (იხილეთ გრაფიკი 24).



■ გაზრდა ■ უცვლელი ■ შემცირება

გრაფიკი 24: დასაქმებულთა ანაზღაურება ვაჭრობის, მომსახურების, მრეწველობის და მშენებლობის სექტორებში

გამოკითხულ კომპანიათა შორის, მათ ვინც 2025 წლის IV კვარტალში თანამშრომელთა ხელფასების ზრდა დააფიქსირა, უმრავლესობამ (92%) დასაქმებულთა ანაზღაურება 0-20%-ით გაზარდა, ხოლო დანარჩენმა კომპანიებმა (8%) დასაქმებულთა ანაზღაურება 21-40%-ით გაზარდეს.



გრაფიკი 25: დასაქმებულთა ანაზღაურების % ზრდა


შრომითი რესურსების საჭიროება

2025 წლის IV კვარტლის გამოკითხვაში, კომპანიებისთვის შრომითი რესურსების საჭიროების და კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების შესაფასებლად BAG ინდექსის კითხვარში დამატებითი კითხვები ინტეგრირდა. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, BAG-ის წევრები და მათ ჯგუფში შემავალი კომპანიები ოთხ სექტორში განაწილდა: ვაჭრობა, მომსახურება, მრეწველობა და მშენებლობა.

კადრების მოძიება

2025 წლის IV კვარტალში გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობისათვის (58%) საჭირო კადრების მოძიება სირთულეებთანაა დაკავშირებული. კომპანიებისთვის კადრების მოძიების პრობლემა 2023 წლის IV კვარტალის¹¹ მაჩვენებელთან შედარებით 7 პროცენტული პუნქტით შემსუბუქდა.

2025 წლის IV კვარტალში გამოკითხულთა 34%-ისთვის საჭირო კადრების მოძიების პროცესი ნაწილობრივ არის სირთულეებთან დაკავშირებული. საჭირო კადრების მოძიებისას სირთულეები გამოკითხულთა 7%-ს არ ექმნება, რაც აღემატება 2023 წლის IV კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელს (2%).




გრაფიკი 26: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობა 2025 წლის IV კვარტალში¹²

აღსანიშნავია, რომ სექტორების მიხედვით, საჭირო კადრების მოძიების პრობლემა განსაკუთრებით მშენებლობის, მომსახურებისა და ვაჭრობის სექტორებში შეინიშნება, სადაც გამოკითხულ კომპანიათა 71%, 61% და 59%-ს, შესაბამისად, ექმნება სირთულეები საჭირო კადრების მოძიებისას (იხილეთ გრაფიკი 27). აღნიშნული პრობლემა ყველაზე ნაკლებად მრეწველობის სექტორში დაფიქსირდა, სადაც გამოკითხულთა 33%-ისთვის საჭირო კადრების მოძიება სირთულეებთან არის დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 2023 წლის IV კვარტალში დაფიქსირებულ მაჩვენებელთან შედარებით (42%).

¹¹ ბოლო გამოკითხვა შრომითი რესურსების საჭიროებაზე ჩატარდა 2023 წლის IV კვარტალში.

¹² დამრგვალების გამო ანგარიშში მოცემულ ზოგიერთ გრაფიკზე მონაცემთა ჯამი ზუსტად 100%-ის ტოლი არ არის.




გრაფიკი 27: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობა სექტორების მიხედვით 2025 წლის IV კვარტალში

სხვადასხვა კატეგორიის კადრებს შორის, გამოკითხული კომპანიები ყველაზე რთულად მაღალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიებას მიიჩნევენ. გამოკითხულ კომპანიათა 55%-ის შეფასებით, მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოძიების სირთულის დონე მაღალია. აღნიშნული მაჩვენებელი შემცირებულია 2023 წლის IV კვარტლის მონაცემთან შედარებით (9 პროცენტული პუნქტით).

საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოძიებას კომპანიათა უმრავლესობა (58%) საშუალოდ რთულად აფასებს, ხოლო 29% მიიჩნევს, რომ აღნიშნული კვალიფიკაციის კადრების მოძიება რთულია.

სხვადასხვა კატეგორიის კადრებს შორის, გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობა ყველაზე მარტივად დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიების პროცესს აფასებს. გამოკითხულ კომპანიათა 22% მიიჩნევს, რომ დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება საერთოდ არ წარმოადგენს სირთულეს, ხოლო 21%-ისთვის მოძიების სირთულის დონე დაბალია, რაც 2023 წლის IV კვარტლის მაჩვენებლების მსგავსია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ 2023 წლის IV კვარტლის მონაცემებთან შედარებით, დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება კომპანიებისთვის გართულებულია (7 პპ-ით გაიზარდა კომპანიების წილი, ვისთვისაც დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება მაღალი სირთულისაა).



გრაფიკი 28: სხვადასხვა კატეგორიის კადრების მოძიების სირთულის დონე 2025 წლის IV კვარტალში

აღსანიშნავია, რომ მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება ყველაზე რთული მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებისთვისაა (ორივე სექტორში გამოკითხულ კომპანიათა მნიშვნელოვანი ნაწილი მაღალი კვალიფიკაციის კადრების მოძიების სირთულეს მაღალ დონეს ანიჭებს: მომსახურების სექტორში - 67%, მშენებლობის სექტორში - 64%).


საშუალო კვალიფიკაციის კადრების მოძიება ვაჭრობის, მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში გამოკითხულ კომპანიათა უმრავლესობის მიერ საშუალოდ რთულად ფასდება, ხოლო მრეწველობის სექტორში - კომპანიათა 46%-ისთვის.

დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება რთული აღმოჩნდა მრეწველობის (სექტორში გამოკითხული კომპანიების 42%-ისთვის ძალიან რთულია დაბალი კვალიფიკაციის კადრების მოძიება), ვაჭრობის (37%), მშენებლობისა (29%) და მომსახურების (23%) სექტორებისთვის (იხილეთ დანართი, გრაფიკი 2).

კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები

2025 წლის IV კვარტალში გამოკითხულმა კომპანიებმა, კითხვაზე, თუ რომელი ფაქტორების გამო არის რთული საჭირო კადრების მოძიება, ყველაზე ხშირად დაასახელეს შემდეგი სამი ფაქტორი: აპლიკანტების მხრიდან მაღალი ხელფასის მოლოდინი (57%), აპლიკანტების არასაკმარისი უნარები (56%) და აპლიკანტების არასაკმარისი რაოდენობა (55%). რაც შეეხება კონკურენციას სხვა დამსაქმებლებთან, ეს ფაქტორი, 2023 წლის IV კვარტალის მსგავსად, 2025 წელსაც ყველაზე იშვიათად დასახელდა კადრების მოძიების სირთულის განმაპირობებელ ფაქტორებს შორის (იხ. დანართი, გრაფიკი 3).

საჭირო კადრების მოძიებასთან დაკავშირებული პრობლემების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები სექტორებს შორის მცირედით განსხვავებულია. მრეწველობის და მომსახურების სექტორებისთვის ყველაზე ხშირად დასახელებული ფაქტორია აპლიკანტების მხრიდან მაღალი ხელფასის მოლოდინი (82% და 61%, შესაბამისად). მომსახურების სექტორში, აპლიკანტების მხრიდან მაღალი ხელფასის მოლოდინთან ერთად, განმაპირობებელ ფაქტორებად დასახელდა აპლიკანტების არასაკმარისი ცოდნის დონე (61%). მშენებლობის სექტორისთვის ყველაზე ხშირად დასახელებული ფაქტორი აპლიკანტების არასაკმარისი უნარები აღმოჩნდა (71%), ხოლო ვაჭრობის სექტორისთვის - აპლიკანტების არასაკმარისი რაოდენობა (63%).




გრაფიკი 29: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები 2025 წლის IV კვარტალში

2025 წლის IV კვარტალში გამოკითხულ კომპანიათა (მათ ვინც აპლიკანტების არასაკმარისი რაოდენობა დაასახელეს პრობლემად) 74% მიიჩნევს, რომ აპლიკანტთა არასაკმარისი რაოდენობას კადრების საზღვარგარეთ გადინება განაპირობებს. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებელი შემცირებულია 2023 წლის IV კვარტალთან შედარებით. ასევე შემცირებულია იმ კომპანიათა წილი, რომ-

ლებიც შემდეგ ფაქტორებს ასახელებენ კადრების არასაკმარისი რაოდენობის განმაპირობებლად: არასაკმარისი რაოდენობის კადრების მომზადება, მომიჯნავე სექტორებში კადრების გადინება და შეზღუდული კადრების მობილობა (იხილეთ დანართი, გრაფიკი 4).


აღსანიშნავია, რომ აპლიკანტთა საზღვარგარეთ გადინების პრობლემა ყველაზე ხშირად მრეწველობის (86%) და ვაჭრობის (85%) სექტორებში ფიქსირდება. ხოლო მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში კომპანიათა ყველაზე დიდი ნაწილი (80% და 70%, შესაბამისად) მიიჩნევს, რომ სექტორში აპლიკანტთა არასაკმარისი რაოდენობას არასაკმარისი რაოდენობის კადრების მომზადება განაპირობებს.



გრაფიკი 30: აპლიკანტთა არასაკმარისი რაოდენობის განმაპირობებელი ფაქტორები 2025 წლის IV კვარტალში

კითხვარის მეშვეობით, კომპანიებმა ასევე, შეაფასეს მომიჯნავე სექტორებში კადრების გადინების სიმწვავე. გამოკითხული კომპანიები მომიჯნავე სექტორებში კადრების გადინების პრობლემის სიმწვავეს აფასებენ მაღალი, საშუალო და დაბალი კვალიფიკაციის მქონე კადრების მიხედვით (იხ. გრაფიკი 31).


აღსანიშნავია, რომ 2025 წლის IV კვარტალში, 2023 წლის IV კვარტალთან შედარებით, შემცირებულია იმ კომპანიების წილი (10 პროცენტული პუნქტით), ვინც მიიჩნევს რომ საშუალო კვალიფიკაციის მქონე კადრების შემთხვევაში განსაკუთრებით მაღალია მომიჯნავე სექტორში გადინების შემთხვევები.




გრაფიკი 31: მომიჯნავე სექტორებში კადრების გადინების პრობლემის სიმწვავე 2025 წლის IV კვარტალში

სექტორებს შორის, მომიჯნავე სექტორებში დაბალი კვალიფიკაციის კადრების გადინების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა მომსახურების სექტორში გამოკითხულ კომპანიათა 41%-ისთვის. მაღალი კვალიფიკაციის კადრების გადინების პრობლემას მომსახურებისა და მშენებლობის სექტორებში გამოკითხულთა 20% და 17% შესაბამისად, განსაკუთრებით მწვავედ აფასებს. რაც შეეხება საშუალო კვალიფიკაციის კადრების გადინების პრობლემას, ყველაზე მწვავე მომსახურების და მრეწველობის სექტორებისთვის აღმოჩნდა (ძალიან მწვავეა 14%-ისა და 13%-ისთვის, შესაბამისად).


დანართი




გრაფიკი 1: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობა 2023 წლის IV და 2025 წლის IV კვარტლებში




გრაფიკი 2: სექტორების მიხედვით, სხვადასხვა კატეგორიის კადრების მოძიების სირთულის დონე 2025 წლის IV კვარტლის გამოკითხვის მიხედვით



გრაფიკი 3: კადრების მოძიებასთან დაკავშირებული სირთულეების განმაპირობებელი ფაქტორები 2023 წლის IV და 2025 წლის IV კვარტლებში



გრაფიკი 4: აპლიკანტთა არასაკმარისი რაოდენობის განმაპირობებელი ფაქტორები 2023 წლის IV და 2025 წლის IV კვარტლებში



კონტაქტი:

გ. ლეონიძის ქ. 2, თბილისი, საქართველო

☎ +995 32 2 202-215

✉ info@bag.ge

f Business Association of Georgia

www.bag.ge